
ისტორიულ - არქიტექტურული კვლევა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I და II კორპუსის ჩრდილოეთ ნაწილში დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებზე



თბილისი
2023

განაშენიანების მიმოხილვა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I და II კორპუსი მდებარეობს ვაკის დასაწყისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე (N1-3). ვაკე ქალაქის ფარგლებში შევიდა 1907 წელს[1]. აღნიშნულმა ადგილმა სახელი რელიეფურად დაბალი მდებარეობის გამო მიიღო. ვაკე ძველი ვერის ტერიტორიაზე წარმოიშვა. მისი ინტენსიური განაშენიანება XX ს. 20-იან წლებში დაიწყო და არქიტექტურულად ჩამოყალიბებული სახე XX საუკუნის შუა პერიოდში მიიღო. XX საუკუნის დასაწყისისთვის მისი საზღვრები იყო: აღმოსავლეთით - ვარაზისხევი, ჩრდილოეთით — მდინარე ვერე, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით — მთის კალთები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვაკე თბილისს მხოლოდ მელიქიშვილის ქუჩით უკავშირდებოდა. 1957 წ. ვარაზისხევის ქვედა ნაწილის ამოვსების შედეგად იგი ფართო ქუჩით გავიდა გმირთა მოედანზე, 1958 წ. კი გაყვანილი იქნა ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალი.

თავდაპირველად, XX ს. 20-იან წლებში ახლანდელ ჭავჭავაძის გამზირს ერქვა უნივერსიტეტის ქუჩა. 1935-დან 1957 წლამდე ქუჩა ენათმეცნიერი ნიკო მარის სახელს ატარებდა. 1957 წელს კი ილია ჭავჭავაძის სახელი ეწოდა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ორივე კორპუსი და მის ჩრდილოეთ ნაწილში - შედარებით დამრეც რელიეფზე განთავსებული დამხმარე შენობა-ნაგებობები ერთიან საკადასტროშია (N 01.14.14.010.030) მოქცეული.




ს.კ. N 01.14.14.010.030 მოქცეულია ლურჯ კონტურში

[1] თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 66

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი


ისტორია. ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის - დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ნაგებობას საქართველოს ისტორიისა და კულტურისათვის გამორჩეული მნიშვნელობა აქვს.

როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა სათავადაზნაურო გიმნაზიისთვის აიგო. მისი მშენებლობა 1900 – 1906 წლებში მიმდინარეობდა. შენობის აგების საკითხი 1897 წელს 22 მაისს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ცხვედაძემ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების სხდომაზე დააყენა. 1898 წელს კი შეიქმნა გიმნაზიის სამშენებლო კომისია ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრები იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, კონსტანტინე ყავრიშვილი და სვიმონ კლდიაშვილი. 1902 წლიდან ამ კომისიის წევრი ილია ჭავჭავაძეც გახდა.



გიმნაზიის მშენებლობის ამსახველი ფოტო

პირველი კორპუსის შენობას ვ. ბერიძე განიხილავს თავის წიგნში - „თბილისის ხუროთმოძღვრება“ და შემდეგი სახის ცნობებს გვაწვდის: „1897 წელს თავადაზნაურთა საზოგადოებამ სკოლისათვის ახალი შენობის აგება გადაწყვიტა და 1898 წელს მიწის ნაკვეთიც შეიძინა ვაკეში, ვარაზის ხევს გაღმა, სადაც მაშინ ჯერ კიდევ ტრიალი მინდორი იყო. სკოლის მშენებლობის ეპოპეა დამახასიათებელი ფურცელია რევოლუციის წინა წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. სახსარი და დამხმარე ცოტა იყო, ხელის შემშლელი და სკეპტიკოსი - ბევრი. თავდაპირველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ თავ. კ. ბაგრატიონ-მუხრანბატონმა და ქართველმა კაპიტალისტებმა - ძმებმა ზუბალაშვილებმა, დ. სარაჯიშვილმა დიდი თანხა გაიღეს ამ საქმისათვის. არსებითი როლი ითამაშა ნ. ცხვედაძის თავდადებულმა მუშაობამ და პრაქტიკულმა უნარმა. მთელი ეს წამოწყება ბევრჯერ ბეწვზე ეკიდა, მაგრამ მაინც მოახერხა მისი ხორცშესხმა. ამ მშენებლობას, ცხადია, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ერთი სასკოლო შენობის აგებას შეიძლება ჰქონდეს. რუსეთის ცარიზმის პირობებში ეს დიდი პატრიოტული საქმე იყო, „დიდებული საქმე ქართველი ერისა“, როგორც მაშინ წერდნენ. სკოლას სახელმწიფო, ან კერძო პირი - კაპიტალისტი კი არ აშენებდა, არამედ თვით ქართველობა, რომელსაც ამითაც სურდა დაემტკიცებინა (სხვისთვისაც და თავისთვისაც) თავისი ეროვნული ღირსება“[2]



ვერის უბანი და გიმნაზია

[2] ვ. ბერიძის თბილისის ხუროთმოძღვრება გვ. 80

როგორც ზაქარია ჭიჭინაძესთან ვკითხულობთ: „როცა სკოლის შენების გეგმა დამტკიცდა და საქმე აშენების დაწყებით გათავდა, მაშინ გამოითქვა ეს აზრიც: კერძოდ საქართველოში და მასთან მთელს კავკასიაში, ქართველ ტომის შესახებ გავრცელდა ისეთი აზრები, რომ ვითომც ქართველ ტომს ძველადგანვე ხელოსნობის და მის ავ-კარგიანობის გაგებისა სულ არაფერი სცოდნია. ვითომც რაც კი რამ დიდებული ნაშთებია საქართველოში ძველად გაკეთებული და დღემდე დაშთენილი, რომ ყველა იგინი სხვა ტომის ხალხთა ხელოსნებთაგან არის ნაკვეთები. ვითომც ქართველებმა მარტოდ სოროების თხრა იცოდნენ და სხვა ამის მეტი არაფერი, ასეთ კიცხვა-გმობას ჩვენის ტომის შესახებ თვით მწერლობითაც მოვისმენდით. ამიტომ ამშენებელ კომიტეტის მეთაურთაგან გამოთქმული იქმნა ის აზრი, რომ ამ შენობაზედ ჩვენ მარტოდ ქართველი ხელოსნები უნდა ვამუშაოთ, მათის ხელით უნდა გავაკეთოთ, ვეცადოთ რომ ამ ხერხით დავარღვიოთ ის ცნობები, რომ ვითომც ქართველები უნიჭოები არიან და არაფრის მკეთებელნიო. დიახ, ეს ასე დაასკვნა და ასეც შეასრულეს, მთელი შენობა, ზოგიერთი რამ საქმეთა გარდა, მთლად ქართველ ტომის მუშაკთა და ხელოსანთაგან გაკეთდა.“ [3]

სათავადაზნაურო საზოგადოებამ გიმნაზიის მომავალი შენობის აგება ახალგაზრდა ქართველ არქიტექტორს - სიმონ კლდიაშვილს მიანდო.

1899 წლიდან იწყებს ს. კლდიაშვილი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის პროექტის შედგენასა და მშენებლობას.



სიმონ კლდიაშვილი

[3] ზ. ჭიჭინაძე, დიდებული საქმე ქართველი ერისა, თბ., 1908 წ., გვ. 41

ვინაიდან, იმ დროინდელი, თბილისის შენობების არქიტექტორების ჩამონათვალში თითქმის არ მოიძებნება ქართული გვარი, ეს კიდევ უფრო მეტად გვანახებს თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი არქიტექტორის ჩართულობას ამ მასშტაბურ საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ არამხოლოდ არქიტექტორი, არამედ მშენებლების უმეტესობაც ქართველები იყვნენ. ამრიგად პირველი კორპუსის მშენებლობამ დიდად შეუწყო ხელი ეროვნული საინჟინრო-არქიტექტურული ხელოვნების განვითარებასაც.

აღნიშნულ შენობაში უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა 1918 წლის 8 თებერვალს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდა ამავე წლის 3 სექტემბერს. ამ პერიოდში, მთელ კავკასიაში, ეს იყო ერთადერთი უნივერსიტეტი.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადებამდე, ქართველმა ხალხმა ჯერ თბილისში ეროვნული უნივერსიტეტი შექმნა, რაც მათი მხრიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

უნივერსიტეტის მთავარი დამფუძნებელი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა კირიონ მეორემ. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1946-1958 წლებში იოსებ სტალინის სახელობის იყო[4], ხოლო 1989 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

„თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის (დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შენობა საქართველოს ისტორიისა და კულტურისათვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა, ან მხოლოდ უპირველესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მან, ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან გამიჯნა ძველი და ახალი თბილისი მე-20 საუკუნის დასაწყისში, ხელი შეუწყო ეროვნული საინჟინრო-არქიტექტურული ხელოვნების განვითარებას, განუმტკიცა ქართველობას ეროვნული თვითშეგნება და საკუთარი თავის რწმენა, ხოლო ამ შენობაში განლაგებულმა დაწესებულებებმა, აქ განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს ისტორიაში სრულიად ახალ ეპოქას მისცეს დასაბამი და განსაზღვრეს ქართული მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის გეზი. ქართველი ხალხის მიერ რუდუნებით ნაგები ქართული გიმნაზიის შენობა საქართველოს ისტორიაში XX საუკუნის ნიშანსვეტად იქცა“[5].

როგორც ვახტანგ ბერიძე თავის ნაშრომში: „ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი“ წერს - უნივერსიტეტის პირველი კორპუსის, იგივე გიმნაზიის შენობის ნახაზები

[4] ენციკლოპედია „საქართველო“ სტატია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტ. 3 გვ. 601-606 ლიტ. გაიპარაშვილი ზ., უნივერსიტეტი, თბ. 2011

[5] ზ.გაიპარაშვილი, საუკუნის ნიშანსვეტი, თბ., 2011, გვ. 152

შემორჩენილი არ არის და იგი პრესაში შემორჩენილ მასალას გვიზიარებს: „სამწუხაროდ, ჩვენ კლდიაშვილის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ მსჯელობის საშუალებას მოკლებული ვართ; ავტორის ნახაზებს ჩვენ ვერ მივაგენით, არ გვაქვს არც საპროექტო მოცემულობა, რომელიც ხუროთმოძღვარს ჰქონდა ხელთ. ე. ი. ფაქტიურად არ გაგვაჩნია ის მასალა, რომელიც აუცილებელია არქიტექტურული ობიექტის სათანადოდ განხილვისათვის. უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ არასრული და, ალბათ, არც სავსებით ზუსტი ცნობებით, რომლებიც პრესაში ჩნდებოდა ხოლმე, ორიოდე ფოტოსურათითა და ზოგიერთი ზეპირი ცნობით. ერთი ასეთი ცნობის თანახმად, გიმნაზიის შენობა თავდაპირველად უფრო მცირე ზომისა, სამსართულიანი ყოფილა განზრახული და მხოლოდ შემდეგ, როცა პროექტი დამთავრებული იყო ცხვედაძეს მისი გაფართოება გადაუწყვეტავს: მან გაადიდებინა სააქტო დარბაზი, გაამრავლებინა კლასები და ეკლესია დაამატებინაო (გიმნაზიის ყოფ. თანამშრომლის დიმ. ეპიტაშვილის გადმოცემით). გიმნაზიაში მრავალი დამატებითი და დამხმარე სადგომი ჰქონდათ გათვალისწინებული, მაგრამ უმთავრესი, ცხადია, საკლასო ოთახები და პანსიონი იყო. ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება შემდეგნაირად მოგვითხრობს სადგომთა განაწილებას შენობაში: „ძირის ნახევარ სართულში მოთავსდება: სასადილო დარბაზი, ხელსაქმის კლასები, სამზარეულო, ბუფეტი, კანცელარია, არხივი, საგიმნასტიკო დარბაზი და სხვ. პირველ სართულში კანტორა, დირექტორის ინსპექტორის და მასწავლებელთა კაბინეტები, ორი სარეკრეაციო დარბაზი, 9 კლასი და სხვ. მე-2 სართულში: ეკლესია, სადღესასწაულო აქტის გასამართი დარბაზი, სხვადასხვა სამეცნიერო კაბინეტები, 9 კლასი, სამუსიკო კლასი და სხვ. მე-3 სართულში: პანსიონის სადგომი. სულ შენობა დაიტევს 800 მოწაფეს, პანსიონი სამასს, ეკლესია რვაასს.[6]”

ვ. ბერიძე ასევე საინტერესო ცნობებს გვთავაზობს უშუალოდ მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნული ცნობებიც სხვადასხვა ჟურნალ გაზეთებიდან აქვს ამოკრეფილი: „სკოლის საძირკვლის ჩაყრა 1900 წლის 14 ოქტომბერს მოხდა. დაესწრნენ სათავადაზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის წევრნი და სათავადაზნაურო სკოლის მოწაფენი მასწავლებლებითურთ, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, რედაქციებისა და ჟურნალების წარმომადგენლები და სხვანი“[7].

[6] „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 19. VIII, N2.

[7] ვ. ბერიძე ხუროთმოძღვარი, სიმონ კლდიაშვილი. გვ. 46



გიმნაზიის მშენებლობის ამსახველი ფოტო

მკვლევარს ასევე მოჰყავს გიორგი ლასხიშვილის მოგონება - „როცა ცხვედაძემ ქართველი საზოგადოება მიიწვია საძირკვლის ჩაყრაზე და კურთხევაზე, სხვათა შორის ვიყავით რედაქციის წარმომადგენლებიც. იმ დღის გაზეთების ნომრები მოვათავსეთ ბოთლებში და ეს ბოთლები ჩავუშვით საძირკვლისთვის ღრმად ამოთხრილ მიწაში[8]. მშენებლობა დაიწყო. კლდიაშვილს იქვე, ეზოში მცირე სადგომი ჰქონდა გამართული და ცხვედაძესთან ერთად დღესა და ღამეს ასწორებდა მუშაობაში. რამდენიმე თვის შემდეგ ცოკოლის სართული უკვე ამოყვანილი იყო. 1902 წელს ამას პირველი და მეორე სართულიც მიემატა.“ 1903 წელს ბოლო სართულები. 1905 წელს შენობის ნაწილში უკვე შინაგანი მოპირკეთება მიმდინარეობს[9]...

[8] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 150

[9] ვ. ბერიძე ხუროთმოძღვარი, სიმონ კლდიაშვილი. გვ. 46

პირველი კორპუსის არქიტექტურის აღწერა. სიმონ კლდიაშვილი ქმნის არქიტექტურულ დომინანტს, რომელიც მთელი განაშენიანების მასშტაბით განსაკუთრებულ როლს ასრულებს. შენობა გამორჩეულია როგორც თავისი მოცულობით, ისე მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით.



თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსი. ხედი აღმოსავლეთიდან. ფოტო აღებულია ინტერნეტიდან

იგი აგებულია აგურით. კედლები შელესილია და გაფორმებულია რუსტრებით. აქვს ორნაწილიანი შიდა ეზო. განსაკუთრებული საზეიმო იერსახით გამოირჩევა მთავარი ფასადი, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთით, ბაღისაკენ. მის ცენტრალურ ნაწილში გაკეთებულია პორტიკი, რომელშიც სამი მაღალი ხის კარია დატანებული. თითოეული კარის თავზე მოწყობილია სანდრიკი. ასევე გამამშვენებელ ეფექტს ქმნის პორტიკის მეორე და მესამე სართულის სარკმლების კანელურებიანი პილასტრები და აკანთის ფოთლებით შემკული კაპიტელები, ორმალიანი თაღები, თაღების შემამკობელი დეკორატიული მოტივები და სარკმლებს შორის მოწყობილი, გლუვზედაპირიანი სწორკუთხა პილასტრები, რომლებსაც, ასევე მდიდრულად მოწყობილი კაპიტელები აქვს. კედელი დასრულებულია დეკორატიული ლავგარდანით. პორტიკის სახურავზე, შუა ნაწილში, დადგმულია გუმბათი, ხოლო კუთხეებში აკროტერიუმები - საფეხუროვან პირამიდის ფორმაზე დაბჯენილი სფეროები. პორტიკის წინ მოწყობილის კიბე, ხოლო მის გვერდებზე პანდუსი.



პირველი კორპუსის აღმოსავლეთი ფასადი

რაც შეეხება აღმოსავლეთ ფასადის დანარჩენ ნაწილს - იგი უხვი რაოდენობის, რიტმულად განლაგებული სარკმლებითაა დანაწევრებული. სარკმლების ნაწილი მშვილდმაგვარი და სამკუთხა სანდრიკებითაა გამშვენებული, ხოლო ნაწილი მარტივად პროფილირებული საპირეებით.



პირველი კორპუსის სამხრეთი ფასადი

შენობის დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების ცენტრალური და გვერდითი ნაწილები, რიზალიტის სახით, მცირედით არის გამოწეული, რაც თითოეულ ფასადს, ხუთ ნაწილად ანაწევრებს. ფასადების ზემოთ, გარკვეულ ადგილებში, მოწყობილია ბალუსტრადა. სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადის შუა რიზალიტი დასრულებულია ფრონტონით. შენობა გადახურულია თუნუქის ფირფიტებით.



თსუ-ს პირველი კორპუსის შენობა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ფასადი




თსუ-ს პირველი კორპუსის შენობა. აღმოსავლეთ ფასადი


თბილისის სხვადასხვა პერიოდის გეგმებზე ასახული პირველი კორპუსის შენობა



1907 წლის გეგმა



1913 წლის გეგმა



1929 წლის გეგმა



1934 წლის გეგმა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსი

მეორე კორპუსის შენობა აიგო არქიტექტორ მ. შავიშვილის პროექტით. პროექტი თარიღდება 1935 წლით. მშენებლობა დასრულდა 1940-იანი წლების ბოლოს. მეორე კორპუსის შენობაც, თავისი მოცულობითა და მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტებით, უბნის განაშენიანებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მკვეთრ აქცენტს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ მეორე კორპუსი პირველთან შედარებით მოგვიანო პერიოდში აიგო და პირველი კორპუსისაგან გარკვეულწილად განსხვავებულია, ისინი მაინც არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან, რადგან სტილისტურად ახლოს არიან ერთმანეთთან. მსგავსება ჩანს მოცულობით, რუსტრირებული ფასადებით, სარკმელთა რიგებით, ფერით. მათი პირველი სართულები ერთნაირი რუხი ფერის ფილებითაა მოპირკეთებული.



უნივერსიტეტის მეორე კორპუსის შენობა. ხედი სამხრეთიდან

მეორე კორპუსის შენობა ოთხსართულიანია. მისი მთავარი ფასადი სამხრეთით, ქუჩისკენაა მიმართული. ამ ფასადის მთავარ მხატვრულ ეფექტს ქმნის საზეიმო პორტიკი, რომელიც იონიური ორდერითაა შექმნილი. პორტიკისაკენ განიერ კიბეებსა და გვერდის პანდუსებს ავყავართ. ფასადის საფუძველს რუხი ფერის ქვით მოპირკეთებული ცოკოლი წარმოადგენს. ნაგებობის ზემოდან, პორტიკის ცენტრალურ ღერძზე დადგმულია მცირე გუმბათი. როგორც პროექტშია აღნიშნული კედლები აგებულია აგურით. გადახურვები არის ბეტონის. სახურავი გამართულია ხის კონსტრუქციაზე.




უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მთავარი შესასვლელი


არქიტექტორმა შენობის გეგმა ორგანულად ჩაწერა განაშენიანებაში. ნაგებობა ისეა დაგეგმარებული, რომ მის შიგნით სამი შიდა ეზოა მოწყობილი. ქუჩისკენ მიმართული ფასადი ოვალური ფორმისაა. ჩანს, რომ მშენებელი მისი შექმნისას ქუჩის ფორმას ითვალისწინებდა.

უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსის ჩრდილოეთით განთავსებული შენობა-ნაგებობების მიმოხილვა


ს.კ. N 01.14.14.010.030-ზე, თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსის გარდა, 30-ზე მეტი სხვადასხვა ფუნქციის მქონე, ერთ და ორსართულიანი შენობაა განთავსებული და მათი უმეტესობა სწორედ ჩრდილოეთ ნაწილშია მოქცეული. რამდენიმე შენობა დამრეც რელიეფზეა აგებული, ხოლო ნაწილი მოვაკებულ ადგილას. აქ ვხვდებით ლაბორატორიებს, სპორტულ მოედანს, ბელვედერს, საქვაბეს და სხვა დამხმარე ნაგებობებს. ისინი უმეტესად უსისტემოდ, ქაოსურად და სახელდახელოდ არის განაშენიანებული. აღნიშნული სივრცე არქიტექტურულ მოწესრიგებას საჭიროებს, რაც თავისთავად გულისხმობს უსახური ნაგებობების დემონტაჟს.



პირველ და მეორე კორპუსების ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული შენობა-ნაგებობების ზედხედი



საკადასტრო გეგმა



საკადასტრო გეგმიდან ამოღებული ჩრდილოეთ ნაწილის განაშენიანება



თსუს პირველი და მეორე კორპუსების ჩრდილოეთი ნაწილი



თსუს პირველი და მეორე კორპუსების ჩრდილოეთ ნაწილი

ღირებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მხოლოდ ლაბორატორიის შენობა (N6/1) და ბელვედერი. მათი შენარჩუნება მნიშვნელოვანია. ლაბორატორიის შენობის ჩრდილოეთისაკენ მიმართული ფასადი რუსტრებითაა გაფორმებული. მის ზემოდან კი, ბელვედერის გასწვრივ, მოგვიანო პერიოდის ერთსართულიან დაშენებას ვხვდებით, რომლის მოხსნაც, მხატვრული თვალსაზრისით, ბელვედერის უკეთ აღქმისათვის, უმჯობესი იქნება.




ლაბორატორიების შენობა

ზემოაღნიშნულ შენობებს, ჩრდილოეთიდან, მოსდევს მკვეთრი ქანობი, რომელიც ჭ. ამირეჯიბის გზატკეცილზე ეშვება.



თსუს პირველი და მეორე კორპუსების ჩრდილოეთ ნაწილი

როგორ 1963 წლის გენგეგმაზე ჩანს, თავდაპირველად პირველი და მეორე კორპუსის ჩრდილოეთით განსაზღვრული ჰქონდათ მხოლოდ გენგეგმაზე დატანილი შენობების: ლაბორატორიების, სასადილოს, ორანჟერიის, საქვაბის, საწყობის, გარაჟისა და ვივარიუმის მშენებლობა. თუმცა დროთა განმავლობაში, როგორც ვხედავთ, გეგმით გათვალისწინებულ შენობებს დაემატა ათამდე უსახური ნაგებობა და შეიქმნა უსისტემო განაშენიანება. აღსანიშნავია, რომ გენგეგმით გათვალისწინებული შენობებიდან მხოლოდ ვივარიუმის მშენებლობა არ განხორციელდა.



1963 წლის გენგეგმიდან ამოღებული ნაწილი, სადაც ჩანს ჩრდილოეთ ნაწილში არსებული განაშენიანების სტრუქტურა

დასაცავი ფასეულობები

ამდენად, როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა, საპროექტო არეალი არამხოლოდ კონკრეტული უბნის, არამედ ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მეხსიერებას წარმოადგენს, რომლის (არამხოლოდ საკუთრივ ძეგლი, არამედ იგულისხმება მიმდებარე გარემოც) დაცვაც ძალზედ მნიშვნელოვანია.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ორივე კორპუსი, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ნუსხაშია შეყვანილი და მათზე კანონით განსაზღვრული დაცვის მექანიზმი მოქმედებს - ძეგლის მიმდებარედ დადგენილია ინდივიდუალური დამცავი ზონა, რაც გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს.



უნივერსიტეტის შენობები (პირველი და მეორე კორპუსი), როგორც ინდივიდუალურად, ასევე კომპლექსურად, ქალაქის უმნიშვნელოვანეს საიმიჯო სურათებს წარმოადგენს. ღირებულია, როგორც მისი ჭავჭავაძის გამზირზე გამომავალი ფასადები, ისე უკანა, ვარაზისხევის მხრიდან არსებული საერთო სურათი. მიუხედავად იმისა, რომ შენობათა ფასადების უკანა, ვარაზისხევის საერთო პანორამა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ძლიერ შეიცვალა, ვაკის უსახური განაშენიანების სახით, ის მაინც უსათუოდ დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს.

დასაცავ ფასეულობათა რიცხვშია თავად რელიეფი - მდინარე ვერეს მხარეს ჩამომავალი ფერდი, რომელიც ძალზედ საინტერესო ტოპოგრაფიული მონაცემებით ხასიათდება. ცხადია, თავდაპირველად, მასზე არ იყო მცენარეული საფარი და ფერდის პლასტიკურობა კარგად ჩანდა. თუმცა, დროთა განმავლობაში გაჩენილმა მცენარეულმა საფარმა, ცხადია მეტად ორგანული მწვანე ზოლი შექმნა შენობათა უკან. დღეის მდგომარეობით აღნიშნული გაუნაშენიანებელი ფერდი და მასზე მცენარეული საფარი, ტერიტორიის ერთგვარ მოცემულობას წარმოადგენს.



დასაცავია უნივერსიტეტის შენობათა სივრცით-არქიტექტურული მოცულობა, მათი ერთობლიობა და ანსამბლურობა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შენობა სხვადასხვა დროს არის აგებული, სწორედ მათი ერთიან კონტექსტში გადაწყვეტა, მეტადრე სივრცით მოცულობითი გააზრება და კავშირი, უბნის განვითარების ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტია.

უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის (დაშლა - ხელახალი აღდგენა) შემთხვევაში, უმთავრესად გათვალისწინებული უნდა იყოს ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსების ჩრდილოეთ ნაწილის საპროექტო არეალი მოჩანს ცირკიდან (სურ.1), გმირთა მოედნიდან (სურ.2), ზოოპარკიდან (სურ.3), საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობიდან (სურ.4), საბურთალოს ტერიტორიაზე გაშენებული ათეულობით მაღალსართულიანი შენობიდან (სურ.5-7). შესაბამისად, ტერიტორიის ლანდშაფტური გარემოს სახეცვლილება უნდა მოხდეს მთელი სიფრთხილითა და სიზუსტით. ახალი შენობა ჰარმონიულად და უმტკივნეულოდ ისე უნდა ჩაეწეროს არსებულ გარემოში, რომ ზემოჩამოთვლილი სხვადასხვა ხედვის წერტილიდან არ დაიფაროს ძეგლების - I და II კორპუსის ფასადები და არ შეიცვალოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული ლანდშაფტი. ისეთი ხედები, როგორსაც უნივერსიტეტის კორპუსები და მისი ჩრდილოეთ ფერდი ქმნის, ქალაქის ურბანულ სახეს წარმოადგენს და განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს, ამიტომ ახალი მოცულობის შექმნისას ანგარიში უნდა გაეწიოს არსებულ სივრცეს.



სურ. 1 ხედი ცირკიდან




სურ. 2 ხედი გმირთა მოედნის პანდუსიდან




სურ.3 ხედი ზოოპარკიდან



სურ.4. ხედი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობიდან



სურ.5. ხედი საბურთალოს ტერიტორიაზე მდებარე მაღალსართულიანი შენობიდან




სურ.6. ხედი საბურთალოს ტერიტორიაზე მდებარე მაღალსართულიანი შენობიდან




სურ.7. ხედი საბურთალოს ტერიტორიაზე მდებარე მაღალსართულიანი შენობიდან

ძველ საარქივო მასალას თუ გადავხედავთ და გენგეგმას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მეორე კორპუსის ჩრდილოეთ ნაწილში განსაზღვრული ჰქონდათ ვივარიუმის აშენება, რომელიც მხოლოდ იდეის დონეზე დარჩა და აღარ აუშენებიათ.



თსუს არქივში დაცული 1963 წლის გენგეგმა
წითელი ისრით მითითებულია გენგეგმაზე დატანებული
ვივარიუმის ადგილი



1963 წლის გენგემაზე დატანებული ვივარიუმი

საარქივო ფოტოზე ჩანს, რომ სწორედ აღნიშნულ ადგილას მეორე კორპუსის აგებამდე, მცირე ნაგებობა მდგარა. ეს ადგილი რელიეფზე ვითარდება და უცბად ვაკევდება, შესაძლებელია სწორედ მისი ტოპოგრაფიული მოცემულობების გამო იყო ძველად მასზე მცირე ნაგებობა და ამიტომ ვივარიუმის მშენებლობაც გადაწყდა.





1972 წლის ტოპოგეგმა

სავარაუდო ადგილად, სადაც შესაძლოა დაიდგას ახალი შენობა, ვივარიუმის ტერიტორია შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა ზემოაღნიშნული ხედვის წერტილების გათვალისწინებით, მისი ზომები და ფორმები მთელი სიზუსტით უნდა შეირჩეს. ახალი შენობის სიმაღლე არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ფარავდეს უნივერსიტეტის კორპუსის ბოლო სამ სართულს. ვინაიდან მეორე კორპუსის პირველი ორი სართულის ნაწილი, არსებული განაშენიანებისა და ხემცენარეების გამო, ისედაც ნაკლებად ჩანს სხვადასხვა ხედვის წერტილიდან, ამიტომ არის შესაძლებელი ახალი შენობის სიმაღლის განსაზღვრა მეორე კორპუსის მეორე სართულის დონის ჩათვლით (იგულისხმება სარდაფის სართულიც). ახალი შენობის სიმაღლე სურათზე მითითებულ წითელ ნიშნულს არ უნდა ასცდეს.


სურათზე წითელი ნიშნულით მითითებულია საპროექტო შენობის სიმაღლის ზედა ზღვარი

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ რომ შესასწავლია შენობათა უკან არსებული ფერდის, განსაკუთრებით კი საპროექტო არეალის (იგულისხმება ვივარიუმის ადგილი) გეოლოგიური მდგომარეობა.

აღნიშნული მონაკვეთი, დამრეცი ფერდის ქვედა დონეზე მდებარეობს, შესაბამისად შესაძლებლობას იძლევა რელიეფზე დაქვემდებარებული მოცულობის დაპროექტებისა, რომლის მთავარი იდეაც, სწორედ რელიეფთან ჰარმონიული თანამშრომლობა უნდა გახდეს.

საპროექტო შენობის საერთო მოცულობასთან ერთად, მეტად საპასუხისმგებლო გვეჩვენება შენობის საერთო არქიტექტურული გამომსახველობა. ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ტერიტორია ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე რთული და სენსიტიური ადგილია, რომლის ღირებულებაც კომპლექსური მოცემულობებია. შესაბამისად, შენობის გამომსახველობა სწორედ არსებულ მოცემულობებთან კავშირ-თანამშრომლობაზე უნდა იყოს გათვლილი. ვფიქრობთ, რომ დაუშვებელია ბუტაფორიული, კიტჩური ელემენტებისა და ფორმების გამოყენება. ფორმა უნდა იყოს თანამედროვე, რომელიც პასუხობს და ერგება იმ სენსიტიურ მონაცემებს, რომლითაც საპროექტო არეალის მიმდებარე განაშენიანებაა ნიშანდობლივი. აღნიშნული ბალანსის დაცვა საკმაოდ რთულია და დელიკატურ, ფაქიზ არქიტექტურულ თუ სივრცულ აღქმასა და გემოვნებას მოითხოვს.

გასააზრებელია საპროექტო ნაგებობის გეგმარება და კონფიგურაცია, მისი განთავსების ორიენტაცია, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს (ნაგებობებთან თანამშრომლობა და ა.შ.) უნდა ითვალისწინებდეს. მათ შორის საპასუხისმგებლო გვეჩვენება არეალისკენ მიმართული დინამიური ხედვის წერტილები, არსებულ ძეგლებსა და რელიეფთან მიმართება და სხვა.

შენარჩუნებულ უნდა იქნას, უკანა ეზოს მხარეს არსებული ძველი ლაბორატორიის შენობები, მის თავზე განთავსებული ბელვედერი; ამავდროულად გასააზრებელი და გასახსნელია ჭავჭავაძის გამზირიდან, პირველ და მეორე კორპუსებს შორის გახსნილი ხედვის არეალი, რომელიც უმნიშვნელოვანეს სივრცობრივ ელემენტს ქმნის;

ვფიქრობთ, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის ერთიანი გააზრება და გეგმის შემუშავება, სადაც მკაფიოდ უნდა ჩანდეს ტერიტორიის საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი, ფუნქციური ზონირება და ერთიანი კონცეფციით მისი გააზრების შესაძლებლობა.

ხელოვნებათმცოდნე - თათია ღვინერია



ხელოვნებათმცოდნე - სალომე გოგოლაური

